ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 9106/01
17/10/2018

9106-01-2-201810171814

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მ.წ 4 ოქტომბერს შემოსული თქვენი #3-267 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს. სახელმწიფო კონტროლი განსაზღვრულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით.

სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს თანამშრომლები შერჩევითი წესით ახორციელებენ სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა საქმიანობის პროცესში მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულების მონიტორინგს, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი შესაძლო სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნების შემცველი მასალების საგამოძიებო ორგანოებისადმი წარდგენის მიზანშეწონილობას არ განსაზღვრავს.

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 63-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო მასალებს უგზავნის შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

საგამოძიებო ორგანოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ დამრღვევის ქმედებები შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნებს, სააგენტოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, მას დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში გამოვლენილ დანაშაულის ნიშნებთან დაკავშირებით, არ დგას საგამოძიებო ორგანოებისადმი მიმართვაზე დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების საჭიროება.

პატივისცემით,

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ნანა ჩინჩილაკაშვილი



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი